# ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომა

# ო ქ მ ი#5

25 მაისი 2021 წელი

14.00სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გვანცა გრძელიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაკა მესხი
გურამი კიკნაველიძე
ირინა ტყეშელაშვილი
მამუკა გორგოძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: კახა გოგნაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლები: ნაზიმი კბილაშვილი
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. კახა გოგნაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ, გვანცა გრძელიძემ დამსწრე კომისიის წევრებს წარმოუდგინა საკითხი: მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიის წევრი: მამუკა გორგოძემ კითხვით მიმართა კახა გოგნაძეს, რომ პროფესიული გადამზადების კუთხით ტრენინგი რა ჯდება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: კახა გოგნაძემ უპასუხა მამუკა გორგოძეს, რომ დატრენინგება თუ არ ვცდები გვიჯდება 1000ლარი უფრო სიზუსტით გადავამოწმებ და მეცოდინება საკრებულოს სხდომისათვის

კომისიის წევრი: მაკა მესხმა განაცხადა, რომ ტრენინგი აუცილებელია, მაგრამ რამდენად გვაძლევს ამის საშუალებას ბიუჯეტი ან რომელ სამსახურში რამდენი თანამშრომელის დატრენინგება არის საჭირო ან მეორე თანამშრომლის დამატება ეს უნდა დაიგეგმოს

კომისიის თამვჯდომარე: გვანცა გრძელიძემ განაცხადა, რომ კანონითაც გაწერილია გადამზადების აუცილებლობა და მიმართულებები, უნდა იქნეს გეგმა გაწერილი და ამის შემდგომ მოხდეს მოხელის დატრენინგება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: კახა გოგნაძემ განცხადა, რომ არის განხილვა და შეფასება არსებობს მონახაზი თუ რა სახის სიახლეებია სამსახურებში და საისლეების მიხედვით ხდება დატრენინგება

იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ. წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ. წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 5 წინააღმდეგი: 0

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხები ამოიწურა

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე: გვანცა გრძელიძე